



1. შეთანხმება მომხმარებელსა და www.aisi.io -ს შორის

- 1.1. გთავაზობთ მოხმარების წესებსა და პირობებს. რომელსაც მომხმარებელი www.aisi.io-ს ვებ გვერდზე რეგისტრაციით ეთანხმება.
- 1.2. თუ რაიმე ცვლილება შევა დოკუმენტში, ის თავიდან დაიდება საიტზე მომხმარებლის მხრიდან დასადასტურებლად.
- 1.3. წესები და პირობები ძალაში შედის რეგისტრაციის მომენტიდან.

2. კონფიდენციალურობა.

2.1. მომხმარებლის მიერ www.aisi.io-ს გვერდის გამოყენება ლიმიტირებულია AISI-ს კონფიდენციალურობის პოლიტიკით. მომხმარებელი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს www.aisi.io-ს კონფიდენციალურობის პოლიტიკას, სადაც სრულად არის აღწერილი მომხმარებლის პირადი ინფორმაციის დამუშავება-გამოყენების წესები.

3. ელექტრონული კომუნიკაცია.

3.1. www.aisi.io-ს გვერდზე რეგისტრაციით მომხმარებელი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან ნებისმიერი კომუნიკაცია, შეთანხმებები, შეტყობინებები და სხვა სახის კონტაქტი განხორციელდება ელექტრონულად - იმეილით ან ვებგვერდის მეშვეობით.

4. თქვენი ანგარიში.

- 4.1. მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას მისი ანგარიშის და პაროლის კონფიდენციალურობა.
- 4.2. მომხმარებელი გაფრთხილებულია, იმის შესახებ, რომ არ გადასცეს მესამე პირებს მისი ანგარიში და პაროლი. www.aisi.io კასუსს არ აგებს მომხმარებლის ანგარიშის და პაროლის უცხო პირების მიერ გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე.
- 4.3. www.aisi.io იტოვებს უფლებას გააუქმოს ან უარი განცხადოს მომხმარებლის მიერ მოთხოვნილ სერვისებზე, შეაჩეროს ან შეცვალოს ინფორმაციის შინაარსი ვებგვერდზე, www.aisi.io-ს საქმიანობის პოლიტიკიდან გამომდინარე.
- 4.4. მომხმარებლის რეგისტრაცია www.aisi.io-ს გვერდზე და ანგარიშის გახსნა უფასოა და გამოიყენება მხოლოდ ვებგვერდზე წვდომისთვის.

4.5. მომხმარებლის მიერ www.aisi.io-ს გვერდზე გახსნილი ანგარიში მისი საკუთრებაა და ამ ანგარიშზე განთავსებული ნებისმიერი პროდუქციის გადატანა შეუძლია მისი შეხედულებით სხვა ელექტონულ მატარებელზე (Private Key).

4.6. Private Key-ის გამოყენების შემთხვევაში www.aisi.io იხსნის ყველანაირ პასუხისმგებლობას მომხმარებლის წინაშე.

5. აისის უფლებები დამოვალეობები.

5.1 www.aisi.io-ს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:

5.1.1 შეზღუდოს გვერდის გამოყენების უფლება, თუ აღმოჩნდა, რომ მომხმარებელი ნებისმიერი სახით არღვევს ამ შეთანხმებას.

5.1.2. შეცვალოს ეს შეთანხმება, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების ან მისი საქმიანობის პოლიტიკიდან გამომდინარე.

5.1.3 შეცვალოს/წაშალოს ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაცია მომხმარებლისთვის მიზეზის განმარტების გარეშე.

6. არასრულწლოვანი პირები.

6.1. 18 წელს მიუღწეველი მომხმარებელი www.aisi.io-ს ვებგვერდს გამოიყენებს მხოლოდ მშობლის ან მეურვის თანხმობის შემთხვევაში

7.კავშირი მესამე პირის ვებ გვერდებთან/მესამე პირის სერვისები.

7.1. Aisi.io-ს ვებ გვერდი შეიძლება შეიცავდეს სხვა ვებ გვერდების ლინკებს ("Linked Sites"). ეს ვებ გვერდები და მათზე განთავსებული ინფორმაცია არ არის www.aisi.io-ს კონტოლის ქვეშ და www.aisi.io არ არის პასუხისმგებელი ამ გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე, ან მათზე განხორციელებულ ცვლილებებსა და მოდიფიკაციაზე. ამ ლინკებს AISI გაწვდით მხოლოდ ინფორმაციის მიზნით.

7.2.www.aisi.io-ს ვებ გვერდზე რეგისტრაციით მომხმარებელი აცხადებს თანხმობას, რომ www.aisi.io უფლებამოსილია დაამუშაოს და გამოიყენოს მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული პერსონალური ინფორმაცია. რეგისტრაციით მომხმარებელი უფლებას აძლევს www.aisi.io-ს გამოიყენოს მის მიერ მითითებული ინფორმაცია და მონაცემები ნებისმიერ მესამე პირთან, რომელთანაც www.aisi.io-ს აქვს საქმიანი ურთიერთობა და რომელიც აუცილებელია მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდებისა და ამ სერვისების გაუმჯობესებისათვის.

7.3. www.aisi.io იღებს ვალდებულებას, რომ მომხმარებლის პერსონალურ ინფორმაციას დაამუშავებს და გამოიყენებს მხოლოდ მომხმარებლისათვის კონკრეტული სერვისების მიწოდების გაუმჯობესების, კონფიდენციალურობისა და საქმიანობის პოლიტიკიდან გამომდინარე.

7.4. www.aisi.io პასუხს არ აგებს მომხმარებლის იმ პერსონალური მონაცემების მესამე პირების მიერ გამოყენებაზე, რომლებიც ღიაა და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მესამე პირისათვის.

8. უკანონო ან აკრძალული გამოყენება/ინტელექტუალური საკუთრება.

8.1 მომხმარებელმა www.aisi.io-ს ვებ გვერდზე წვდომა უნდა გამოიყენოს მხოლოდ www.aisi.io-ს გამოყენების წესების ფარგლებში.

8.2. ვებ გვერდის გამოყენების წესების თანახმად მომხმარებელი ვალდებულია, რომ www.aisi.io-ის გვერდს არ გამოიყენებს უკანონოდ, არ გამოიყენებს ვებგვერდს ისე რომ დააზიანოს, დაბლოკოს, გადატვირთოს, ან ხელი შეუშალოს სხვა პირების მიერ ვებ გვერდის გამოყენებას.

8.3. მომხმარებელი გაფრთხილებულია, რომ შეგნებულად არ მიიღებს ან/და არ ეცდება მოიპოვოს ინფორმაცია ან მასალა, რომელიც მისთვის არ არის განკუთვნილი ან/და მიწოდებული ვებ გვერდის მიერ.

8.4. ნებისმიერი ინფორმაცია, მონაცემები, ტექსტი, გრაფიკა, ლოგო, სურათი, ასევე გვერდზე გამოყენებული კომპიუტერული პროგრამა, არის www.aisi.io-ს ინტელექტუალური საკუთრება და დაცულია საავტორო უფლებებითა და სხვა კანონებით, რომლებიც იცავს ინტელექტუალური საკუთრების და ქონების უფლებას.

8.5. მომხმარებელს ეკრძალება www.aisi.io-ს წერილობითი თანხმობის გარეშე დაამუშაოს, შეცვალოს ან/და გამოიყენოს ნებისმიერი ინფორმაცია, მონაცემები, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა, რომელიც განთავსებულია www.aisi.io-ს ვებ გვერდზე. მომხმარებელი ვალდებულია მონაწილეობა არ მიიღოს ნებისმიერ ტრანსფერსა თუ გაყიდვაში, არ შექმნას მსგავსი ნამუშევარი და არ მოახდინოს ვებ გვერდზე განთავსებული რაიმე სახის ინფორმაციის ნებისმიერი გზით უნებართვოდ გამოყენება.

8.6. მომხმარებელს უფლება არა აქვს მოიპოვოს კონფიდენციალური ინფორმაცია www.aisi.io-ს ვებ გვერდიდან. www.aisi.io არ ანიჭებს მომხმარებელს არანაირ უფლებას აისის ინტელექტუალურ საკუთრებაზე ან მის რომელიმე ლიცენზიის მომწოდებელზე, გარდა იმ საკითხებისა რომელიც ნებადართულია ამ შეთანხმებით. მომხმარებელი პასუხისმგებელია www.aisi.io-ს ვებ გვერდის ან მასზე განთავსებული მონაცემების უკანონო და უნებართვო გამოყენებისთვის და აქედან გამომდინარე ნებისმიერ შედეგებზეც. მომხმარებელი ეთანხმება რომ გვერდს გამოიყენებს მხოლოდ ამ შეთანხმებასთან, კანონთან და რეგულაციასთან თანხმობაში მყოფი მიზნებისთვის.

9. საერთაშორისო მომხმარებლებისთვის

9.1. იმ ქვეყნის მოქალაქეებს სადაც იკრძალება ICO-ში მონაწილეობა, www.aisi.io-ს პროდუქციის შექმნა და მოხმარება იქნება არალეგალური. www.aisi.io პასუხისმგებლობას არ იღებს ამ სახის პრეტენზიებთან დაკავშირებით.

9.2. იმ ქვეყნის მოქალაქეებს სადაც იკრძალება ICO-ში მონაწილეობა, www.aisi.io-ს სერვისების გამოყენებით გამოწვეული ნებისმიერი პრეტენზიის და გართულების შემთხვევაში ადგილობრივ სამართალთან პასუხისმგებლობა ეკისრებათ თვითონ.

9.3. მომხმარებელი გაფრთხილებულია, რომ იმ ქვეყნის მოქალაქეებს სადაც იკრძალება ICO-ში მონაწილეობა, www.aisi.io-ს პროდუქციასთან წვდომას არ შეეცდებიან იმ ქვეყნებიდან სადაც ეს აკრძალულია ნებისმიერი კანონით ან რეგულაციით.

10. ხარჯების ანაზღაურება/ფულისდაბრუნება

10.1 მომხმარებელს აუნაზღაურდება ზარალი მხოლოდ www.aisi.io-ის პლატფორმაზე წარმომოხილი ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში. დანარჩენ სხვა შემთხვევებზე www.aisi.io იხსნის პასუხისმგებლობას.

10.3. მომხმარებელი გაფრთხილებულია, რომ სრულად ინფორმირებულია ICO-სთან დაკავშირებულ რისკებთან და მისი მხრიდან თანხის დაკარგვის შემთხვევაში პრეტენზია არ ექნება www.aisi.io-სთან.

12. რისკები

12.1. გადაწყვეტილების მიღებამდე დაინტერესებულმა პირებმა გულდასმით და სრულად უნდა წაიკითხონ წინამდებარე დოკუმენტი. მასში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა მომხმარებელმა, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალდაბანდების მიზნებიდან გამომდინარე, უნდა გაითვალისწინოს მითითებული რისკები კოინის შექმნის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. თუ რომელიმე რისკი მატერიალიზებული იქნება, ამან შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს აისის ღირებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მითითებული რისკის ფაქტორები კაპიტალდაბანდება/შექმენა/ინვესტირებასთან ასოცირებულ ძირითად რისკებად მიაჩნია, შესაძლოა არსებობდეს სხვა რისკიანი არაპროგნოზირებადი გარემოება, რასაც კომპანია ამ ეტაპზე არამნიშვნელოვნად მიიჩნევს, ან რისი არსებობაც კომპანიისათვის უცნობია. ნებისმიერ მსგავს რისკს ან არაპროგნოზირებად გარემოებას შესაძლოა ჰქონდეს იგივე უარყოფითი ეფექტი. შესაბამისად, კომპანია არ მიიჩნევს, რომ ქვემოთ მითითებული რისკები ამომწურავია.

12.2. რთულ გლობალურ ეკონომიკურ პირობებს შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს კომპანიაზე. კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს გლობალური მაკროეკონომიკური და საბაზრო პირობები.

12.3. იმ ქვეყნის იურისდიქციის მოქალაქეები სადაც ICO-ში მონაწილეობა აკრძალულია და თუ ესეთები მაინც მიიღებენ მონაწილეობას ჩვენს პროექტებში მათი ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე ლუნა გრუპი იხსნის პასუხისმგებლობას და ისინი თავისი რისკითა და პასუხისმგებლობით იღებენ ICO-ში მონაწილეობას.

12.4. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის პროდუქციის ღირებულებაზე. White paper-ის პირობები ეფუძნება მისი გამოცემის თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე საქართველოს რომელიმე

სასამართლო განჩინება, ცვლილება კანონმდებლობაში ან ადმინისტრაციულ პრაქტიკაში წინამდებარე კონტრაქტის შედგენის თარიღის შემდეგ.

12. საქართველოში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ციფრული ტექნოლოგიების მარეგულირებელი ადეკვატური სამართლებრივი ბაზა, რომელიც აუცილებელია მზარდი ციფრული ტექნოლოგიების ინდუსტრიის პირობებში, ამ დარგის განვითარებისთვის და სათანადოდ ფუნქციონირებისთვის. ის ფაქტი, რომ საქართველოს კანონმდებლობის დიდი ნაწილი ახლახანს არის მიღებული და საკანონმდებლო სისტემა სწრაფად ვითარდება, ეს გარემოება კანონების ხარისხისა და აღსრულების საკითხს ეჭვის ქვეშ აყენებს და შესაძლოა გამოიწვიოს გაურკვეველობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემაში ციფრული ტექნოლოგიების მიმართ არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიაზე გარკვეული ვალდებულებების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა. უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს და ეს იწვევს რეგულაციების ბუნდოვან განხორციელებას ან პრაქტიკის არ არსებობას. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს არატიპური სირთულეები კომპანიისთვის და ზოგადად მისი ბიზნესისთვის. სამთავრობო სამინისტროებსა და ორგანიზაციებში, მათ შორის საგადასახადო ორგანოებში, ასევე ამ ორგანიზაციებს შორის არსებობს სხვადასხვა ნორმების განსხვავებული განმარტებები ქმნის გაურკვეველობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა დაიკავონ განსხვავებული პოზიციები განმარტების საკითხებთან დაკავშირებით, რამაც კომპანიას შეიძლება შეუქმნას გადასახადების გაზრდის ან დამატებითი ვალდებულებების დაკისრების საფრთხე.

13. ვებგვერდზე და ანგარიშზე წვდომის შეზღუდვა.

13.1. www.aisi.io იტოვებს უფლებას უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის, მომხმარებლის ინტერესების ან/და საქმიანობის პოლიტიკიდან გამომდინარე დააწესოს გარკვეული შეზღუდვები მომხმარებლის ანგარიშზე.

13.2. მომხმარებელი ეთანხმება რომ მასსა და www.aisi.io -ს შორის ამ შეთანხმებიდან გამომდინარე არ არსებობს არანაირი საერთო სპეკულაცია, პარტნიორობა, დასაქმება ან სააგენტო ურთიერთობა.

14. პირობების შეცვლა.

14.1 www.aisi.io იტოვებს უფლებას უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის, მომხმარებლის ინტერესების ან/და საქმიანობის პოლიტიკიდან გამომდინარე შეცვალოს ზემოთ მოყვანილი პირობები.

14.2. პირობების ყოველი ბოლო განახლებული ვერსია განთავსებული იქნება ვებ გვერდზე.

